

## დანართი 1

### 1. კონკურსის მიზანი

1.1. კონკურსის მიზანია სსიპ უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - პორტუგალიური ენისა და კულტურის ცენტრის ასისტენტის შერჩევა.

1.2. კონკურსის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით იქმნება კომისია.

### 2. კომისიის შემადგენლობა

2.1. კომისიის შემადგენლობაში შედიან კომისიის თავმჯდომარე, კომისიის წევრები და მდივანი

### 3. საკონკურსო კომისიის ფუნქციები:

საკონკურსო კომისიის ფუნქციებში შედის:

ა) კონკურსის წესით სსიპ უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - პორტუგალიური ენისა და კულტურის ცენტრის ასისტენტის შერჩევა.

ბ) აპლიკანტების (ვის მიერ წარმოდგენილი საბუთებიც აკმაყოფილებს საკონკურსო მოთხოვნებს) წინასწარი შეტყობინების საფუძველზე გასაუბრებაზე მოწვევა;

### 4. კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი

4.1. კომისია კონკურსანტის დაუსწრებლად აფასებს წარმოდგენილი საბუთების შესაბამისობას ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 6 მარტის N49/02-01 ბრძანებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

4.2. კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება. კომისიის წევრს არ აქვს უფლება თავისი ხმა გადასცეს კომისიის სხვა წევრს.

4.3. კონკურსში მონაწილე ყველა კანდიდატს კენჭი ეყრება ცალ-ცალკე.

4.4. იმ კანდიდატების შორის, რომლებმაც თანაბარი ხმები მიიღეს, კენჭისყრა ეწყობა ხელახლა.

4.5. გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს კომისიის სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადაწყვეტა კომისიის თავმჯდომარის ხმა.

4.6. კომისია მიღებულ გადაწყვეტილებას აფორმებს ოქმის სახით, რომლის საფუძველზე შერჩეულ სპეციალისტთან გაფორმდება შრომითი ხელშეკრულება;

### 5. დავების გადაწყვეტა

5.1. კონკურსის შედეგებთან დაკავშირებული დავები წყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.